№ 155
ხუთშაბათი, 21 ივლისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 155
ხუთშაბათი, 21 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთი დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

აზნაური მიხეილ ლუკას ძე ავალიანი, კოსტანტინე და ელენე საგინაშვილები და აზნაურნი გრიგოლ და მანანა არისტაკესოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისა, მეორენი—ასულისას, ხოლო მესამენი დისას—ანნა კოსტანტინეს ასულის ავალიანისას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ მიცვალებულის გასასვენებლად ხუთშაბათს, 21 ივლისს, დილის 9 საათზედ, ნიკოლოოზის, ქუჩაზე ჩიკალსკის სახლებში, № 111, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში.
(2—2)

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ავლაბრის ბოლოში დასადგომის ბირ-დაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ზ. მანუელიანცს, ტფილისს.
(24—1297—6)

საზაფხულო ახალი თეატრი
„ფანტაზია“
კვირას, 24 ივლისს, ქართულს ენაზედ წარმოდგენილი იქმნება

I

**ბრსმნბ**

დრ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა

II

**დატრიალდა ჯარა**

ვოდ. 1 მოქმ.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი რჩეულოვისა, იოსებიძისა (პირველი დებიუტი), ბ.ნნი ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, ხარაზოვი, ნასიძე და სხვანი.

ანტრაქტებში დაუკრავს ცეცხლის მქრობელ რაზმის მუსიკის ხორო.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზედ

## ტფილისი, 21 ივლისს

მკითხველი უეჭველია ყურადღებას მიაქცევდა ერთს ამბავს, ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილს. ეს ამბავი ის იყო, რომ გარდაცვალებულმა მარიამ ივანეს ასულმა მიქელაძისამ ასი თუმანი შესწირა დასაარსებლად განზრახულ ქართულ დედათა სკოლის სასარგებლოდ, ათი თუმანი—სათავად-აზნაურო სასწავლებელს, ათი თუმანი—მამა დავითის საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელს და ორმოცი თუმანი—ეკკლესიების განახლების საქმეს.

ამ შეწირულებამ კვლავ გაგვახსენა ჩვენის დედათა განათლების საქმე, რომელიც ასე უნუგეშოდ და უჭირისუფლოდ არის დარჩენილი. აგერ რამდენიმე წელიწადია ქართველთა შორის ფული გროვდება ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებისათვის, რომლის სიკეთე ყველას შეგნებული აქვს და რომელსაც ყოველმა ქართველმა უნდა თანაუგრძნოს, და მაინც იმდენი ფული ვერ შეიკრიბა, რომ საძირკველი ჩაეყაროს ამ საქმეს ჩვენთა დედათა ქართველობისავთის სასურველ აღზრდისა დ̃ განათლებისას.

ასეთი გულგრილობა და ასეთი გულცივობა, ასეთი თანაუგრძნობლობა იმ საქმისა, რომელიც ჩვენს ცხოვრებას მერმისში დიდად განაკარგებს და განაუკეთესებს, სწორედ საკვირველი და საოცარია. ჩვენ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რა მნიშვნელობა აქვს დედათა განათლებას. ეს ყველასათვის, ვგონებთ, ცხადზედ უცხადესია, დღესავით ნათელია და ჯეროვანად შეგნებული. მით უფრო ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ საქმეს, მთელის ერისათვის დიდმნიშვნელოვანს, აქამდე ხელი ამაოდ გაუწვდია სამოწყალოდ და გამკითხავი, წვლილის მიმწოდებელი არავინა ჰყავს.

არ შევეხებით არც ამ ჩვენ საერთო გულცივობასა დ̃ გულგრილობას, იგი არა ერთ-გზის აღნიშნულა სიტყვით თუ ბეჭდვით დ̃ უკვე საზოგადო მოვლენად არის აღიარებული. დღეს თუ აღვძარით ამ საგნის შესახებ ლაპარაკი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ განსვენებულმა მარიამ ივანეს ასულმა მიქელაძისამ ასი თუმანი შესწირა ამ საქმეს. განსვენებული ვაჭრის ცოლი იყო, გაუნათლებელი, მხოლოდ ქართულის ჩათვლით მკითხველი, და იმანაც-კი შეიგნო დიდი მნიშვნელობა ქართველთა ქალთა სწავლა-განათლებისა, იმანაც-კი სიკვდილის დროს, როდესაც ამ ქვეყნად აღარას მოელოდდა-რა, აღარა ახალისებდა-რა, გამოიჩინა გულის ტკივილი ჩვენის სამშობლოსი, თვისთა მამულიშვილთა და თავისის მამულის მომავალ კეთილდღეობისა. სიკვდილის კარის დირეზედ მან თვალი მოატარა ჩვენს ავ-კარგიანობას, ჩვენს აწინდელს ყოფამდგომარეობას, გაითვალისწინა მიმქრალის თვალებით ჩვენი გაჭირვება და დანაკლისი და იმ აზრს დაადგა, რომ ეს გაჭირვება, ეს დანაკლისი ჩვენთა ქართველ ქალთა მოუმზადებლობაა, ოჯახისა და ცხოვრებისათვის, ჩვენთა დედათა გაუნათლებლობა, განუვითარებლობაა, რაც დიდად სამწუხაროა, რადგან ისინი არიან ჩვენთა შვილთა, მომავალის, მოზარდის თაობის აღმზრდელნი და იმათმა „ნანამ“, იმათმა მზრუნველობამ, იმათმა ხელმა უნდა გამოალალაოს ჩვენნი მამულიშვილნიო. გაითვალისწინა ესა და თავისის მცირე შეძლებიდგან უდიდესი ნაწილი—ასი თუმანი ამ საქმის განხორციელებას უანდერძა.

აი ამან გამოგვიწვია ამ წერილის წერად. თუ განსვენებულმა ქ-ნმა მიქელაძისამ შეიგნო ეს, თუ იმას თვალთა ხედვის ისარი იქამდე მი-

## ფელეტონი

**ნაწყვეტი**

—

შენ განაცვალე, ზაქარო,
ენა-თაფლო და შაქარო,
იავ და ვარდო მომძისავ,
ედემის ბაღში ნახარო,
მტერთა გულისა მშობელო
ლომო, ოქროდამ ნათალო,
შენ მალ-გიმს ტუვედ-ჭქმნა ქალამზე,
აამკვნესარო, ახარო.

დ. მაჩხანელი

### მგზავრის დღიურიდგან

(ქართველი მგზავრი არდაჰანის „სანჯახში“).

16-ს ამა ივნისს მე და ორი სხვა თანამგზავრი სოფ. კოთელიიდგან (ახალქ. მაზ.) გავემგზავრეთ არდაჰანის ოლქისკენ, სახელდობრ ჩილდირის მხრისკენ. სოფ. კოთელიიდგან დილით გასულებმა, სამი საათის განმავლობაში, მივაღწიეთ ქ. ახალქალაქს. ახალქალაქამდის გზა მიემართებოდა პირდაპირ სამხრეთისაკენ. დღე იდგა მზიანი და მწვანედ შემოსილ ვაკე-მინდვრებს საამურად ბიბინი გაჰქონდათ. სწორედ შუადღე იყო, რომ ქ. ახალქალაქიდგან გავედით. აქედგან გზამ დაუხვია სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ეს გზა დ. არდაჰანისკენ მიდიოდა. რადგან გზა ახალად კეთდება და ჯერ დაუსრულებელია, ჩვენც დავადექით ისევ ძველ გზას, მიმდინარეს იმავე ახალ გზის გვერდით. თუმცა არდაჰანის ახალი გზა ჯერ კიდევ დაუსრულებელია ახალქალაქიდგან დაწყებული, მაგრამ ფოსტა-კი დადის და გზებზედ საფოსტო სადგურებიც უკვე დამართულია. ახალქალაქიდგან სოფ. სოლდამდის (ახალქ. მაზრაშია) 16 ვერსია; აქ სცხოვრებენ სომხები, აზრუმიდგან გადმოსახლებულები, და აქვე გამართულია საფოსტო სადგური „სულდა“. ქ. ახალქალაქის და ს. სულდას შუა მდებარეობს ერთი საკმაოდ დიდი სომხების სოფელი ვაჩიანი, სადაც გამართულია სადირექციო ერთ-კლასიანი სასწავლებელი. ამ სოფელში გავლის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია სოფელს წინ მდებარე ვეებერთელა ჰაობიან-ჰილიან ტბამ. ეს ტბა, ე. ი. ჰაობი, იმით-კი არ არის ყურადღების ღირსი, რომ ან ძალიან დიდი იყოს, ან სუფთა წყალი იდგას შიგ და ან სათიველ გამოსადეგი იყოს შიგ მდგომი შაპრი თივა, არამედ იმითია საყურადღებო, რომ იგი ცუდს საჰიგიენო ვითარებაში აგდებს ამ სოფლის მცხოვრებლებს. ყველასაგან ცნობილია, რომ ამ ჰაობის წყალობით ს. ვაჩიანში ვრცელდება ხოლმე ათას გვარი სნეულება და ხოლეროების დროს ხომ საკმაო ხალხი იმსხვერპლა. ამ ტბის უსარგებლობისა და დაშრობის შესახებ, ვგონებ, კიდეც ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ყოველივე ლაპარაკი დღემდე განუხორციელებელი დარჩენილა, რადგან ს. ვაჩიანი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ თუ არა ამ ტბის წყალი, სხვა წყლები საქონლის სასმელად სრულიად მოუხერხებელია. ამ სოფლის მცხოვრებლების ჯან-მრთელობის დაცვისათვის, როგორც გარემოება გვიმტკიცებს, მხოლოდ ის დარჩენილა, რომ ხალხი მოშორდეს ამ საზიზღარს ტბა-ჰაობს, რომელშიაც ათასნაირი ჰია-ჰუა ჰბუდობს თვალსაჩინოდ და თვალ უჩინარი—მიკროსკოპიული ბაქტერიები—ხომ აუარებელი იქნება...

ქალაქ ახალქალაქიდგან სოფ. ვაჩიანამდე მშვენიერი ვაკეობაა, რომელიც მთლად დაფარულია სახნავ-სათესის მიწებათ; ვაჩიანიდგან სოფ. სულდამდის-კი გზა მიდის გორიან და ქვა-ღორღიან ადგილებზედ. სოფ. სულდაში რომ მივედით, შუადღიდგან სამი საათი იყო გადასული. ამ სოფლიდგან გავემართენით ცოტა აღმართის გზით სოფელ კარწახისკენ (ახალქ. მაზრაშივეა). აღმართი რომ ავიარეთ, გზიდგან მარჯვნივ, ვაკე ადგილას ვნახეთ ერთი ვერანა სოფელი ნანგრევის ეკკლესიით. ეკკლესია თლილის წითელის ქვით ყოფილა ნაშენი, მაგრამ ჟამთა ვითარებისაგან აოხრებულა, დანგრეულ-განადგურებულა და ღირს-შესანიშნავი არაფერი არ შერჩენია. აქედგან ს. კარწახამდის გზა თავ-თავქვე მიიკლაკნება. ს. კარწახში ნაშუადღევის $6^{1}/_{2}$ ს. იყო რომ მივედით. კარწახი მეტად დიდი სოფელია და აზრუმიდგანვე გადმოსახლებული სომხები სცხოვრებენ; მათ სოფლის მისავალშივე გამართული აქვთ რიგიანად მოწყობილი ერთ-კლასიანი სადირექციო სასწავლებელი. სოფელში ცხრა-ათიოდე საწვრილმანოს და ფარჩეულობის დუქანია. ამ ჟამად ამ სოფელში შენდება ვეებერთელა ქვითკირის საყდარი, ნაცვლად ძველის უვარგისისა. როგორც სულდისა, ისე კარწახისა და სხვა სოფლების მიწები, როგორც გვიამბეს, ეკუთვნის ეჩმიაწინის ეკკლესიებს და ამ მიწებიდგან და მთებიდგან შემოსულის ფულით ინახება სომხების სკოლები და სხ.

სოფ. კარწახიდგან არდაჰანის გზას ავუქციეთ და გავემგზავრეთ პირდაპირ სამხრეთისკენ, სხვა გზით. ნახევარი საათი ვაკეთ ვიარეთ და შემდეგ შევუდექით მშვენიერ ამწვანებულს მთას. ეს მთა აღმოსავლეთიდგან დასავლეთისკენ გაგრძელებულია და სახელად ეწოდება „ვეგ ტალი“ (ლურჯი მთა). ეს მთა საკმაოდ მაღალია, ქვა-ღორღს და კლდეებს ამ მთაზედ კაცი ვერა ნახავს, მთლად შემოსილია საძოვარის და სათიბის ბალახით. ამავე მთის ქედიდგან, სამხრეთისკენ იწყება არდაჰანის ოლქი. ვიდრე ამ მთის აქეთა მხარეს, ე. ი. ახალქალაქის მაზრი კუთვნილს, ავივლიდით გზა მთის გვერობაზედ მიდიოდა ცალ ბილიკად. ამ ბილიკიდგან, დასავლეთის მხარეს, ვაკე მინდორზედ დავინახეთ ვეებერთელა „ხოზაპინის“ ტბა, რომელსაც ირგვლივ, გარეშემო ექნება თითქმის 15—18 ვერსტის მანძილი. ტბა ყვითელის ფერისაა და სასმელად გამოუსადეგარი, შიგ თოთხმეტი კუნძულია. «ხოზაპინი» აოხრებულის სოფლის სახელია, რომელიც ყოფილა ამ ტბის ნაპირას, აღმოსავლეთის მხარეს, და ამ ტბასაც აქედგან მიუღია ეს სახელი. ეს ვერანა ხოზაპინიც თავისის სახნავ-სათიბ-საძოვარი ადგილებით ეკუთვნი ზემოხსენებულ ეჩ მიაწინის ეკკლე

უწვდებოდა, რომ ჯეროვანად გაითვალისწინა ეს ჩვენი გაჭირვება და დანაკლისი, ნუ თუ სხვა ქართველი ქალები ასეთის თანაგრძნობით არ უნდა მოეკიდნენ ამ ჩვენ საერო და საზოგადო საქმეს, როგორც განსვენებული მარიამ ივანეს ასული?! მეტადრე ისინი, რომელთაც უკვე გაუღიათ გემოვნება სწავლა-განათლებისა და, მაშასადამე, უფრო სავსებით შეუძლიანთ დაინახონ მისი საჭიროება და სიკეთე.

ქართველმა ქალებმა რომ გულით მოინდომონ ამ საქმის შველა და დახმარება, ყოველმა მათგანმა რომ მცირედი წვლილი შეჰკრიბოს მომავალ დედათა სასწავლებლისათვის, თითოეული რომ ისეთისავე გულის ტკივილით ეკიდებოდეს სწავლა-განათლების საქმეს, როგორც მოეკიდნენ განსვენებული სოლომონ ეგნატეს ძე მიქელაძე *) და აწ გარდაცვალებული მისი მეუღლე მარიამ ივანეს ასული, დედათა სასწავლებელი აქამდე დიდი ხანია უკვე დაარსებული გვექნებოდა და დიდს სიკეთესა და სარგებლობასაც მოგვიტანდა.

დროა გულიდგან განვიშოროთ ამა ქვეყნის ძლიერთა იმედი, რომელნიც მხოლოდ ამ ცხოვრების ფუფუნებასა და განცხრომას მისცემიან და ბოდბელის იმ ანდაზას ადგიან, რომ „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილაო“. „ზღვა კოვზით დაილევაო“, ნათქვამია, და, თუ დაილევა, რასაკვირველია, აივსება კიდეც და აი, ამ ზღვის კოვზით ამავსებელნი უნდა შეიქმნენ განსვენებულ მარიამ ივანეს ასულისთანანი, თითოეული ჩვენგანი, რომელიც, მართალია, წვეთობით მიაწვდის ამ საერო საქმეს

საზრდოს, მაგრამ უფრო ადვილად ასაზრდოებს, უფრო ადვილად გაუწევს დედობას, ვიდრე ბევრის მქონებელი, ის დიდი კაცი, რომელიც

თუმცა შეძლებით მძლავრია
და ქონებითაც დიდია,
მაგრამ ქვეყანაც, სამშობლოც—
ორივ ფეხებზედ ჰკიდია!..

ფარნაოზი

*) ვაჭარი სოლომონ ეგნატეს ძე მიქელაძე გარდაიცვალა 1891 წელს და სწავლა-განათლების საქმეს ანდერძით დაუტოვა 900 მან. (იხილე „ივერია“ 1891 წლისა, მე-234 № წერილი დუშიკოსი).

# დეპეშა

19 ივლისი

**პეტერბურგი.** დღეს მობრძანდა პეტერგოფში მემკვიდრე ცესარევიჩი და დანიის მემკვიდრის უფროსი შვილი—პრინცი ქრისტიანე. ნავთ-სადგურზე მათ უმაღლესობას მიეგება დედოფალი იპერატრიცა და დედოფალი საბერძნეთისა ოლგა.

**შანჰაი.** ჩინეთის ჯავშნიანი ხომალდი „ჩენ იენი“ დაღუპეს გუშინ. ამბობენ, რომ იაპონიელებმა ორი დიდი სამხედრო ხომალდი ჩინეთისა დაატყვევეს თუ დაღუპესო. „ჩენ იენი ჩინეთის ფლოტის ერთ უდიდესს და უახლესის ყაიდის ჯავშნიან ხომალდად ითვლებოდა.

# ახალი ამბავი

*** თავად ალექსანდრე ჩხეიძეს, ჯიხაიშის სასოფლო სკოლის მზრუნველს უმაღლესად ებოძა მესამე ხარისხის ჯვარი წმ. სტანისლავისა.

*** ტფილისში უკვე ამორჩეულ იქმნენ სასანიტარო მზრუნველნი და შეუდგნენ თავის თანამდებობის აღსრულებას. ამორჩეულნი არიან:

1 პოლიციის განყოფილებაში: თ. არღუთინსკი ა. მ. (ხმოსანი) და მაკარსკი ფ. ი.

2 განყ. სირენკო ნ. ი. და ხოსროევი ნ. ბ. (ხმოსანი).

3 განყ.: ბუღდანოვი ი. ს. (ხმოსანი) და შახაზიზოვი ა. ი. (ხმოსანი).

4 განყ.: თავ. არღუთინსკი ნ. ე. (ხმოსანი) და თამამშოვი ნ. ი.

5 განყ.: კუსიკოვი ნ. ს. და წერეთელი გ. ე.

6 განყ.: ბაღდასაროვი ა. ს. (ხმოს.) და ტიგრანოვი ლ. ფ.

7 განყ.: ტერ-გრიგორიანცი ა. ი. და თავ. თუმანოვი ნ. ზ. (ხმოს.)

8 განყ.: აგაპიევი ნ. ფ. (ხმოს.) და ხრისანფოვი ა. ი.

9 გან.: ბუტკევიჩი კ. ი. (ხმოს.) და იაკიმოვი პ. მ. (ხმოს).

10 განყ.: ბაბოვი ა. ს. (ხმოს.) და სტეფანოვი გ. ა.

*** „Н. О.“-ს რედაქტორად ნამყოფს ბ-ნს უსპენსკის, რომელსაც ტფილისის სამოსამართლო პალატამ კერძო ვექილის პლიუშჩევსკის საჩივრის გამო, ჰაუპტვახტში დაპატიმრება მიუსაჯა, პალატის ამ გადაწყვეტილებისა გამო უმართებულესს სინოდში კასსაციით საჩივარი გადაუტანია.

*** ამ ბოლოს დროს ლაპარაკი ასტყდა იმის შესახებ, რომ აქვთ თუ არა ებრაელთ, ამიერ-კავსასიის მკვიდრ მცხოვრებელთ, უფლება საქალაქო არჩევანებში მონაწილეობის მიღებისაო.

ამ საგნის შესახებ აი რა აზრისაა შინაგან საქმეთა სამინისტრო: თუმცა ებრაელნი მკვიდრნი მცხოვრებელნი არიან ამიერ-კავკასიისანი და თავისუფლადაც შეუძლიანთ აქ ცხოვრება, მაგრამ არ შეუძლიანთ საქალაქო არჩევანში მონაწილეობის მიღება და ვერც საბჭოს ხმოსნებად იქმნებიან ამორჩეულნი თვით გუბერნატორების ნება-დართვითაც-კი, ვინაიდგან ეს კანონი შეეხება იმ ადგილებს, რომლებშიაც ცხოვრების ნება დართული აქვსთ ებრაელებს, ხოლო ამიერ კავკასია-კი ასეთ ადგილთა რიცხვში არ არის მოქცეული.

*** გაზ. „Новости“-ს დეპეშით ატყობინებენ ოდესიდგან: ხომალდ „ვლადიმირისა“ და „კოლუმბია“-ს უფროსნი სამართალში არიან მიცემულნი. სასჯელთა დებულების მე-1468 მუხლის ძალით გაუფრთხილებლობისთვის. ვინც ამ საქმეში ბრალეულად იქნება ცნობილი, დასჯის გარდა, ფულად უნდა გადაიხადოს 1 მილიონ მან. მეტი.

აღნიშნული მუხლი სჯის როცა იმათ, რომელნიც ჯეროვანს სიფრთხილეს არ გამოიჩენენ რომელსამე საქმეში და ეს გაუფრთხილებლობა ვისიმესიკვდილის მიზეზი შეიქმნება. დამნაშავეს სასჯელად მიესჯება ან 2—4 თვემდე ციხეში დამწყვდევა და ან 3 თვით დაპატიმრება, ანუ სასტიკი საყვედური სამსჯავროს წინაშე; გარდა ამისა, თუ დამნაშავე ქრისტიანია, მონასტერში იქნება გაგზავნილი ცოდვის მოსანანიებლად.

*** გურია: გურიაში ეხლა სრული მშვიდობიანობაა, ავაზაკობისა და ავ-კაცობისა აღარა ისმის-რა.

მოსავალი მშვენიერია ჯერ-ჯერობით; ყურძენი არ წამხდარა.

*** ოზურგეთი: ოზურგეთში იმყოფება ამ ჟამად ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც გადააქვს ნოტებზედ ან. დუმბაძის გალობა. ფ. ქორიძე, ანტ. დუმბაძე და მისი შვილი დავითი დაუღალავათ ჰმუშაობენ; საქმე მშვენივრად მიდის, ბევრი დაუწერიათ და რაც დაუწერიათ, სწორედ სამაგალითოდ არის დაწერილი. ცოტა არ იყოს, ბ-ნ ანტონ დუმბაძეს, არ სჯეროდა, რომ ასე მოეწყობოდა ნოტებზედ გალობა, ეშინოდა კიდეც კილო არ დამახინჯდესო, მაგრამ ეხლა სულითა და გულით არის მონდომებული, როგორმე დაასრულოს ეს საქმე. ბევრი ხარჯი მოუნდება ამ დიდს საგანს. იმედი არის საზოგადოება შეეწევა ამ საქმის დამწყებთ. საკვირველია, რომ საეკკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღების შესახებ ეკკლესიის მსახურნი გაჩუმებულნი არიან!

გვესტუმრა ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი, და ორი კონცერტი გაჰმართა. ქართულმა სიმღერამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა.

*** გორი. 15 ამ თვეს აქ საშინელი მკვლელობა მოხდა. ხუდადოვმა, სარწმუნებით სომეხმა, მოჰკლა მკალავი ლეკი. ლეკმა თურმე გამოიარა „ამილახვრიანთ ხიდზედ“, ორნი ძმანი ხუდადოვები გადაუდგნენ წინ და ქუდი მოსტაცეს მიწაზედ დასახეთქებლად. საბრალო ლეკი ბევრს ეხვეწა „ნუ მიფუჭებთ ქუდს, თავი დამანებეთო“, მაგრამ უცხო კაცი არ შეიცოდეს. როდესაც თხოვნამ და მუდარამ აღარ გასჭრა და მასხარად აგდებას ბოლო აღარ მოეღო, გაბრაზებულმა ლეკმა გინება და ლანძღვა დაუწყო ხუდადოვებს. ხუდადოვებიც გაცხარდნენ, ერთი მათგანი უნცროსი მივარდა ლეკს დაარტყა მუშტი და საბრალო ლეკმა სული განუტევა. ზოგი ამბობს, ყელში ხელი წაუჭირეს და ისე დაარჩვესო. გარეგნობით-კი არ ეტყობა, თუ რითია მკვდარი. გაჭრის ნებას ლეკები არ აძლევენ. ხუდადოვი პოლიციამ მალე შეიპყრო, მაგრამ მეორე დღესვე ისევ განათავისუფლეს. ლეკის ძმა მივიდა ძმის მკვლელებთან გამწარებულმა ლანძღვა-გინება დაუწყო ამისგამო ისიც პოლიციაში წაიყვანეს, მალე-კი ისევ ლეკების თხოვნით განათავისუფლეს:

*** 11 ივლისს მიკიჩ ბაბაჯანოვი სოფ. დიღომის მხცოვრებელს გიორგი მარიამოვს წაეჩხუბა და ხელში დინით დასჭრა

*** ამავე დღეს კოჯრის ქუჩაზედ ალიხანოვის სახლის ეზოში პოლიციამ შეიპყრო ს. სამიწოს მცხოვრებელი მათე რაზმაძე და ს. ლიხეთის მცხოვრებელი მიხეილ კოპტელაძე, რომელნიც სამზარეულოს გატეხას აპირებდნენ და კარი უკვე ჩამოეღოთ. რაზმაძეს წინადაც ჰბრალდებოდა 28 მანეთის მოპარვა შადინაევის მზარეულის გიგო ტომარაძისაგან. რაზმაძე ტომარაძეს აჩვენეს და იცნო კიდეც, სთქვა. ეს არი ჩემის ფულის ქურდიო.

---

ებს, რომლების გამგებლებს იჯარით გაცემული აქვთ დღეს საძოვრად და სათიბად ახალქალაქის მაზრის, სოფ. დილცკის მცხოვრებლებზედ.

სწორედ საღამოს 8 საათი იყო, რომ ავედით „გვეგ-ტალის“ ქედზედ, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1877—1878 წლებამდისინ ოსმალეთის სახელმწიფოს მიჯნა ყოფილა და ეხლა-კი არდაჰანის ოლქის („სანჯახის“) მიჯნაა, ე. ი. ახალქალაქის მაზრა ამ მიჯნაზედ თავდება. ცოტა რომ გადავემართეთ „გვეგ-ტალს“ და გადავხედეთ ჩილდირის მთა-ველებს, ჩვენი თვალი მიიპყრო უზარ-მაზარმა მტრედის ფერ ტბამ. ჩილდირის ტბა თუმცა ჯერ კიდევ 10—15 ვერსის მანძილზედ იყო ჩვენგან, მაგრამ მაინც მეტად დიდის სივრცისა გვეჩვენა. ჩილდირის მხარე, რომელიც ეკუთვნის ზურზუნის ნაწილს, მდებარეობს მთიან ადგილებში. ჩილდირი განიყოფება ორს ნაწილად—პირ აქეთად და პირ იქითად, ე. ი. ტბასა და პირ აქეთა ჩილდირს შუა მდებარე მთის ჩრდილოეთის მხრივ ადგილებს ეძახიან წინა ჩილდირს („ირალქი ჩილდირ“), მთის იქითა ადგილებს, სამხრეთის მხრივ, ტბის გარშემო ეწოდება უკანა ჩილდირი.

საღამოს ცხრა საათი იყო, რომ პირ აქეთა ჩილდირის პირველ სოფელში—ჩანდურაში ჩავედით. ჩანდურა მდებარეობს „გვეგ-ტალის“ პირ აქეთა ძირში და წინ-კი გადაჭიმული აქვს ფართო ვაკე, სათიბი ჭალები და სახნავი მიწები. ს. ჩანდურაში, როგორც ყველა ჩილდირის სოფლებში, სცხოვრობენ თარაქამა-თათრები, ოდესმე გადმოსახლებულები ყაზახ-ბორჩალოს მაზრებიდგან. ჩანდურაში ერთი თარაქამის კარებზედ მივედით და ცხენ-და-ცხენ დავდექით, გვინდოდა ღამე დგომის ნება გვეთხოვნა სახლის პატრონისათვის, მაგრამ იმდენად სტუმართ მოყვარენი ყოფილან თარაქამები, რომ კარში გამოსულმა მასპინძელმა, არც-კი დაგვაცალა გვეთხოვნა ღამე დგომის ნება, თავდაბლა „თამანნა“ მოგვცა და გვთხოვა ცხენებიდგან ჩამოხდომა. გულ-ახდილმა მასპინძელმა შეგვიყვანა „იაზლუღში“ (საზაფხულო სახლში), რომელიც მთლად დაფენილი იყო გრძელ-გრძელის ნაბად-ქეჩით და თარაქამულის ხალიჩა-ფარდაგით. ეს საფენები დაგებული იყო მიწის იატაკზედ, მხოლოდ ქვეშ თივა ეგოთ.—ვახშამზედ, რომელიც ჩვენ გვქონდა თან წაღებული, მასპინძელმა თავის მხრივ დაგვიმატა თავიანთებური „საჯის“ ლავაში („საჯი“ თუჯია ბრტყელი; ამას ახურებენ ცეცხლზედ და ზედ ლავაშს აცხობენ), დოსა და კორკოტისაგან გაკეთებული შეჭამანდი ერბოსაგან და კვერცხისაგან—პურის ხარშო. ლავაში მთლად ქერის ჯინჯილა იყო. ჩემს კითხვაზედ „ქერის პურს რადა სჭამთ“-მეთქი, მასპინძელმა მიამბო, რომ „მომეტებულად ქერს ვთესავთ, პურის თესვას ისე რიგად არ მივდევთ; ქერს თუმცა ვსთესავთ, მაგრამ მაინც ისე რიგად ხალისიანათ არა; ჩვენი ხელობა უფრო საქონლის მოშენებაა, მთები და საძოვარი ადგილები ბევრი გვაქვს, საქონელს ბევრს ვყიდით და ფულით ქერს ვყიდულობთ, ქერის პური თარაქამისათვის ერბოან საჭმელში პირველია,—უწინ ვიდრე ამ მხარეს რუსი აიღებდა, ხშირად ვთარეშობდით სოფლებზედ, ვიტაცებდით იქიდგან საქონელს და ამითი ძალიან კარგად ვცხოვრობდით; თუმცა ეხლა ქურდობას ველარ ვბედავთ, მაგრამ მაინც საქონლის მოშენებით საკმაო საზრდოს ვშოულობთო“.

მეორე დილით, 17 ივნისს, ჩვენ კვლავ გაუდექით გზას. ერთის ვერსტის გავლის შემდეგ შევედით სოფ. პატარა ჯანბაზში (დიდი ჯანბაზი ამ სოფელს ზემოთ, აღმოსავლეთის მხრივ მდებარეობს). ეს ორივე ჯანბაზები იმითი არიან შესანიშნავნი, რომ აქ განთქმულს ყაჩაღებს ქორ-ისმაილას, სამადა ტაშდამურაშვილს, მანსირას და მეჰრალის თავიანთი ბრბო ყაჩაღებით ამ სოფლებში ჰქონდათ ხოლმე ბინადრობა იმ დრომდე, ვიდრე რუსი დაიპყრობდა ამ მხარეს. ეს რაინდები ხშირად გადმოდიოდნენ ხოლმე უწინ ახალქალაქის მაზრაში და მუსრს ავლებდნენ და აწიოკებდნენ მცხოვრებლებს. ამასთანავე, რადგანაც ქორ-ისმაილ გადამტერებული იყო მაშინ ყაზახ-ბორჩალოს თათრებზედ, იგი თავისი ყაჩაღებით გადაითარეშებდა ხოლმე იქით, ბორჩალოს მაზრისკენ, იტაცებდა დიდ-ძალ საქონელს და ცხენის ჯოგებს და მიერეკებოდა ჩილდირისკენ და ყარსარდა-ჰანის პროვინციებისკენ. ქორ-ისმაილას ყაჩაღობის იმბავი ყველას თავ-ზარსა სცემდა მაშინ. ბორჩალოს თათრები რომ შეაწუხა და შეაწუხა ქორ-ისმაილამ, ხალხისგან საჩივარი ასტყდა, სჩიოდნენ ბორჩალოელი თათრები, რომ ქორ-ისმაილა ახალქალაქის მაზრაში იმალებაო. ამის გამო, როგორც გავიგე, მაშინ, 1875 წელში, გაგზავნილი იყო ახალქალაქიდგან პოლიციის მოხელე ა. ბერიძე ახალქალაქის მაზრის იმ სოფლებში, რომლებიც მდებარეობენ ჩილდირის მხარეს, რომ დაეზვერნა და შეეტყო—მართლა ქორ-ისმაილა ახალქალაქის მაზრაში იმყოფება თუ არა. მაზრის სამმართველოს მოხელემ ალექსი ბერიძემ *) რომ შეიტყო, ახალქალაქის მაზრაში ქორ-ისმაილა არსად ბინადრობდა, რათა მთავრობა დაერწმუნებინა, რომ იგი რუსეთის სამფლობელოში-კი არა, არამედ ოსმალოს მიწაში—ჩილდირში სცხოვრობს, როგორც გულადმა და გამოცდილმა პოლიციელმა, თან წაიყვანა ერთი ჩაფარი და ისე, კერძოთ, როგორც სტუმარი, ეწვია სოფელ პატარა ჯანბაზში ქორ-ისმაილას. ქორ-ისმაილამ ბერიძე მიიღო გულ-კეთილად, სტუმარ-მოყვარეობით და იმ ღამეს რიგიანი მასპინძლობაც გაუწია პურ-ღვინოთი (ღვინო-არაყს ქორ-ისმაილა კარგად ეტანებოდაო). მეორე დღეს ა. ბერიძეს ქორ-ისმაილამ სიტყვიერი პირობა მისცა, რომ ჯავახეთს აღარ გადმოითარეშებს. დაბრუნდა უკანვე ბ. და შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ ახალქალაქს მაზრაში ქორ-ისმაილა არსად არ იმყოფება, არამედ იგი ბინადრობს სოფ. ჯანბაზში თავისის აუარებელის ყაჩაღებით; დასასაბუთებლად ამისა, უამბო ყველას, როგორ ესტუმრა იგი ქორ-ისმაილას, როგორ მიიღო მან ის, როგორი ძალ-ღონით იყო აღჭურვილი და რა

*) ა. ბერიძე შემდეგ ბოქაულად იყო კარგა ხანს მთიულეთში და ბოლოს ბორჩალოს.

# დამაკვირდი

—

მამაკაცის გამოტეხა ადვილია, დედაკაცისა-კი შეუძლებელი.

კონტი

**

ეშვიანი ქმარი ისეთის საიდუმლოების მეტყობას აძლევს სიცოცხლეს, რომელიც ერთიანად იმის ბედნიერებას დაარღვევს ხოლმე.

მოლიერი

**

მიტევება—ღვთაებრივი შურის მიება.

ვინკლერი

## კორესპონდენცია

—

**ცხინვალი**, 14 ივლისი. ცხინვალი წარსულ წლებთან შედარებით, სულ სხვა სანახავია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. ცხინვალში 4 თემის ხალხი სცხოვრობენ, რომელნიც სამ სარწმუნოებას აღიარებენ. ესენი არიან: ქართველი, ოსი, სომეხი და ებრაელი. შემოსულის ხალხით ათასს კომლამდის მცხოვრები იქმნება. ამათ შორის ნახევარზედ მეტი ებრაელია. შეძლებითაც, როგორც ყველგან სხვაგან, სომეხსა და ურიას დარჩენია ბურთი და მოედანი. პირველთ ადგილობრივვე აქვთ ქსელი გაბმული ჩვენდა გასაბმელად და მეორენი-კი სოფელ-სოფელ დაწრწიან დიდიდგან პატარამდის (და ასე გასინჯეთ, ქალებიც-კი). რომელსაც გუშინ ნავთის ზიდვით ზურგი ჰქონდა დაშავებული, დღეს იგი ოც თუმნიანის ბედაურით დათარეშობს სოფელში და შაურიანის დამპალის ფართლით ეზიდება ურემს ურემზე წვითა და დაგვით მოყვანილს ჭირნახულს. სოფელი არ არის, რომ ურიის ვალში არ ირჩობოდეს და ენით გამოუთქმელს სარგებელს არ აძლევდეს. ახალი კანონი მევახშეების შესახებ აინუმშიაც არ მოსდით. აი რა მითხრა ერთმა ებრაელმა: ,,მე ეგ კანონი არ მაშინებს, რადგან გაჭირვებულ მოვალეზედ ჯერ ,,ისპონიტელნი ლისტი'' გამომაქვს ერთი ორად და მერე ფულს ვაძლევო“. ცეცხლი უფრო ის არის, სარგებლის სარგებელში შენგანვე აღებულ ჭირნახულს შენზედვე ასესხებს ერთი-ორად სულ ორის თვის განმავლობაში. ორ კოდს პურში ხუთმეტი მანეთი უწერია. ასე იქცევიან სხვებიც, ჩვენ-კი პირ-დაღებულები შევცქერით და არაფერს ვფიქრობთ ჩვენის თავისათვის.

ეს ორი წელიწადია, რაც ოთხოთხის თუნგ ღვინოს ამხანაგობა შევადგინეთ, რომელსაც ყოველ შემოდგომაზედა ვკრეფავთ და აი დღეს, ოცდა-ათ თუმნამდინ ფული გვაქვს. თუ ერთმანეთს ზურგი არ შევაქციეთ, ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში ას თუმნამდე ფული გვექმნება. ეკკლესიის სამრეკლოს გაკეთება განვიზრახეთ, რომლის მასალაც ნასყიდი გვაქვს და არც ცოტა ფული გვინდება. როგორც დღესა ვფიქრობთ, ცოტა ადრე მოგვივიდა, იმიტომ რომ, ჯერ საჭირო იყო მღვდელ-დიაკვნის სადგომი სახლი აგვეგო, მით უფრო, რომ ადგილიც ეკკლესიისავე ეზოში გვაქვს. ამ ეზოში სამი თვალი დუქანი მოგვიხერხდებოდა, რაც წელიწადში შემოგვიტანდა არა უმცირეს ოცდა-ხუთი თუმნისა, ამას ზევიდგანაც ოთახებს დავადგამდით სრულიად გაუჭირვებლად და ხალხს-კი ავაცილებდით ყოველ წელიწადს კომლზედ ათ-ათ შაურს მღვდლისა და დიაკვნის სახლის ქირას.

ეხლა არ იქმნება ურიგო საერთო საქმეს გადავავლოთ თვალი. აღარას ვიტყვი იმ ორ-კლასიან ნორმალურ სკოლის შესახებ, თუ რა წყევლა-კრულვით დაარსდა. დაარსდა და ურიობამ ბავშვი არ შეახედეს შიგ. დღეს ინსპექტორ ბაღდანოვის წყალობით და ჩაგონებით ერთი კლასი სამეურნეო განყოფილებისა მიემატება. ამის გამო ბ-ნი ბაღდანოვი წარსულ თვეებში სამჯერ იყო ზედი-ზედ და როგორც ქართველებს, ისე ებრაელებს აუხსნა რა მნიშვნელობა აქვს სკოლას და რა სარგებლობა მოაქვს სწავლა-განათლებას. ამ ტკბილის ლაპარაკით მოინადირა გაკერპებული ურიები და სათითაოდ ხელიც მოაწერეს. მაგრამ ნახე ჩვენი განცვიფრება, როდესაც გავიგეთ, რომ გუბერნატორისათვის საჩივარი მიუციათ, რომ ვითომც ბ-ნს ინსპექტორს მათრახით მოეწერინებინოს ხელი. ეს მტკნარი მოჭორება ჭორადვე დარჩა და, როგორც გავიგეთ, ხახმების შეცდენა ყოფილა, რადგანაც ყოველთვის ისინი ელობებიან და იმას უქადაგებენ, არამც და არამც შვილი არავინ მიაბაროთ, თორემ გაგვიქართველდებიანო.

სკოლის შენობის აგება გავეცით იჯარათ სამას-სამოც თუმნად და მომავალ ენკენისთვეში მზად გვექნება. ეხლა დავეძებთ სასყიდლად ადგილს, რომ ყმაწვილებმა მეურნეობა შეისწავლონ. ცხინვალში ისე ძვირია მამული, რომ ქალაქშიც-კი წარმოუდგენელია და ახლო-მახლო არცაა საშოვარი. როგორც ამბობენ, ცხინვალელებს ჰქონიათ მინიჭებული ოცდა-ათი დღის მიწები არა უშორეს ერთის ვერსისა და ეს მიწები რაღაც თილისმათ სამიოდე ოთხ-კაცს მიუთვისებია სულ ამ ოთხისა თუ ხუთის თვის განმავლობაში, საჭიროა დღესვე მიაქციონ სასტიკი ყურადღება და ეს მიწები ჩამოართვან იმ თავ-გასულს სოფლის ჰამიაებს და სამეურნეო სკოლას დაუმტკიცონ. სკოლის დასწვრივ ლიახვმა კაი ძალი რიყე დასტოვა, რომელიც ცხინვალელებმა შემოიმაგრეს და ბაღის გაკეთებას აპირებენ, ამ ბაღის გაკეთებას მცოდნე კაცი ორას თუმანს ფულს მოანდომებს და წარმოიდგინეთ უცოდინარს რა დაუჯდება? ვითომ ჰფიქრობენ ბეგარა გვიშველისო. ჩემის აზრით, უმჯობესი იქმნება ის რიყე უფრო კარგად შეამაგრონ და შეშისა და ხე-ტყის მასალის მეიდნად გარდააქციონ, მით უფრო, რომ დღეს ცხინვალის მოედნის ადგილი ქუჩებს უჭირავს.

წარსულ ივნისის ბოლოს ერთმა ჩოდარმა (სადაური იყო, არ ვიცი) ბატკანი მორეკა 200 სულამდის და პირ-შეკრულმა ვითომ-და ყასბებმა ჩალის ფასად მოინდომეს ყიდვა, ამათ იფიქრეს, ზარალი ნაღველზედ მწარეაო, და არ გადაყარეს. მაშინ გამოუჩნდნენ ორიოდე ღვთისნიერნი, რომელთაც გამართული დუქანი დაუთმეს იმ აზრით, რომ, როგორც ხელს მისცემდათ, გაეყიდნათ. ბატკანს დაუწყეს ხოცვა და 7 კაპეიკად ჰყიდეს (ნიხრით-კი 9 კაპეიკი ცხვარი ჰღირდა და 8 კაპ. სხვილი საქონელი). რასაკვირველია, ჩვენ ყასბებს არაფად ეპაშნიკათ, მით უფრო, რომ შაურად ჯიგარს აძლევდნენ ღარიბებს და თავფეხს-კი მუქთად (ეს ვაჟბატონები-კი ჯიგარსა ჰყიდიან 20 კ. და თავ-ფეხს —10 კ.). გაიგეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე პოლიციაში გაქანდნენ და გამოუცხადეს თავიანთებურად: როცა ხეირის დროა, ვიღაც მოთრეულები სარგებლობენ და როდესაც ზარალი, მაშინ ჩვენ გვატანთ ძალას, გინდათ თუ არა ამა და ამ ფასში უნდა გაჰყიდოთო. აიღ-დაიღეს და 6 კაპ. სხვილი საქონელი განიხრეს და 7-ად ცხვარი და ის ჩოდრები-კი მუქარით გააძევა პოლიციამ, თუმცა ორის ხელით უნდა დაჰბღაუჭებოდნენ, მით უმეტეს, რომ პირობით ეკვროდნენ, ზამთარ-ზაფხულ, რამდენის ხნობითაც უნდოდათ ცხინვალელებს, ორსა ⅌ სამ კაპეიკ ნაკლებ გავყიდით ხორცსაო. ისინი გაიცალეს თუ არა, მეორე დღეს სისხლი აღარას გამოადინეს, ხალხი შესწუხდა და პოლიციას მიჰმართა. მამასახლისი ჩაერია და ძალათი დაახოცინა. ის დღეა და ეს დღე, ხორცის მაგიერ რაღაც უსულოდო გაშავ-რკინავებულს ხორცს გიახლებათ, ისიც სამ დღეში ერთხელ. ესეც საფიქრებელია, რომ ჭირიან საქონელს გვიკლავენ, რადგან კაი ხანია ბეითალი აღარა გვყავს.

ი. გ.

# უცხოეთი

—

კორესპონდენტი „Daily Telegraph“-ისა დეპეშით ატყობინებს ამ გაზეთს, რომ იმას ჰქონია ერთ რუსეთის გამოჩენილ კაცთან საუბარი, რომელმაც შემდეგი აზრი გამოსთქვა ახლანდელ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უთანხმოების შესახებ.

რუსეთი, სანამდის სხვა სახელმწიფო არ გაერევა კორეს სამეფოს საქმეში, მანამდე უმოქმედოდ იქნება. ხოლო თუ რომელმამე სახელმწიფომ განიზრახა კორეში შესვლა, მაშინ რუსეთიც იძულებული იქნება ჩაერიოს ამ დავაშიო. ინგლისის გაზეთები ურჩევენ მთავრობას, ხელახლავ დაიჭიროს ჰამილტონის კუნძული, რომელიც კარ-შესავალია იაპონიის ზღვისა და, მაშასადამე, კორეს სამეფოსიც.

—

თავადის ბისმარკის გაზეთი ამბობს, რომ ჩინეთი თუმცა ამ თავით ადვილად შესაძლოა დაამარცხოს იაპონიამ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვებსო. რიცხვი მთელის ჯარისა ჩინეთში ყოფილა ერთ მილიონზედ მეტი, ხოლო აქედგან მხოლოდ 387 ათასი კაცია ჩასათვლელი, რომელსაც შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ომში.

ზღვის ძალას ჩინეთისას შეადგენს 95 სამხედრო ხომალდი, რომელზედაც 650 ზარბაზანია და 7,100 ღზვაოსანი. იაპონიის ფლოტი თუმცა რიცხვით ამაზედ ნაკლებია, მაგრამ უკეთესად არის შეიარაღებულიო, დასძენს გაზეთი.

—

ამ ჟამად შავს ზღვაში არის პირველი სამხედრო ხომალდი ბულგარიის ,,ბორისი'', რომელიც აგებულია ინგლისში. ხომალდს ბულგარიის საერო დროშა აქვს აღმართული, რასაც დასთანხმებია ოსმალეთის სულთანი. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, და ამბობენ, რომ ეს საყურადღებო საბუთია ოსმალეთისა და ბულგარიის კარგის განწყობილებისაო.

—

ახალგაზდა მისრის ქედივს, რომელსაც ხონთქარი თავის ქალს აძ-

---

პირობა დაუდო.

პირ აქეთა ჩილდირში შემდეგი სოფლებია: ჩანდურა, ორი ჯანბაზლი, ყარა-ყალა, ცხვარა, ქოლასი, ბაშქევი, კოდამურა, ძინძალი, ფურუდი, ზურზუნა, ყორაველი და სხვ. პირიქითაში: ურთა, მერედისი, ფაქრაშენი, გარაშენი, ყამარვან, რაფათი, ალჯაყალა, ჭალა, ყიზილ-ვერანა, კაგაჩი, ირიშლი, ტაშ-ბაში, ტაშ-ქვეფრი, ტაშ-ქვევი და სხ.—სიტყვა „ჩილდირი“ წარმოსდგება ჩრდილისაგან.

ს. ჩანდურიდგან დილით წამოსულები შუადღისას სოფ. ალჯაყალაში მოვედით. ეს სოფელი მდებარეობს ჩილდირის ტბის ნაპირას. ამ სოფლის პირდაპირ შესდევს ნახევარ კუნძული ტბაში. ნახევარ-კუნძული საკმაოდ დიდია, შიგ არის გავერანებული სოფელი ორის ნანგრევის საყდრით. საყდრების ერთ ერთი უფრო რიგიანად და კარგად შენახულა. როგორც ამბობენ, ამ ადგილას ქალაქი ყოფილა. ქვებზედ ზედ-წარწერა არსად არა სჩანს. სოფ. ალჯა-ყალიდგან, ორი ვერსის მანძილზედ, სამხრეთის მხარეს, ტბისვე ნაპირას მდებარეობს სოფ. ჭალა. ამ სოფლის შუაგულში აღშენებულია მშვენიერი ძველი საყდარი შავის თლილის ქვით. სიგრძე ექნება 12—15 ადლი და სიგანე 7—8. შიგნიდგან და გარედგან თალი გადაყვანილი აქვს თლილისავე შავის ქვებით. გარედგან და შიგნიდგან გამოქანდაკებული აქვს კედლები ტაძრის მსგავსად. თალი ზემოდგან, სიძველისა გამო, აქა-იქ გამსკდარა და ჩამონგრეულა. ფანჯრები რვა აქვს: ერთი აღმოსავლეთიდგან, ერთი დასავლეთიდგან, სამი ჩრდილოეთიდგან და სამიც სამხრეთიდგან. ფანჯრების გარეთა პირს ჩარჩოების მაგივრობას უწევს ჩუქურთმით შემოხარატებული მშვენივრად გამოქანდაკებული ქვები. ეკკლესიის კედლებზედ წარწერა არსად არა სჩანს, მაგრამ კედლებს, როგორც შიგნიდგან, ისრე გარედგან, ბევრი დიდრონი ნათალი ქვა აკლია. შეიძლება წარწერა სადმე ჰქონდა, მაგრამ, რადგან ქვა ბევრი აკლია, როგორც ეტყობა, დაკარგულა. ს. ჭალის თარაქამებს თავიანთი სალოცავი—მეჩეთი ზედ ამ ტაძრისთვის მიუდგამთ და მეჩეთი რომ პატარა აღმოჩენილა, საყდრის სამხრეთის კედელში კარი ამოუღიათ და შეუერთებიათ მეჩეთისათვის; ასე რომ როდესაც მლოცავი თათრები მეჩეთში არ ეტევიან, საყდარში სდგანან და ისე ლოცულობენ. ტაძრის ყოველივე მოყვანილობა, ნაშენობა, სივრცე და სხვ. გვიმტკიცებს, რომ ეს საკრებულო ტაძარი ყოფილა და ერთ დროს ქართველთ სიცოცხლეს გაჩაღებით უდუღნია ამ სოფელში, მაგრამ დროთა ბრუნვას ყოველივე აღმოუგვია, აუოხრებია და ნაცარ-მტვრად უქცევია... თვით ამ სოფლის სახელი ,,ჭალა'' ცხადად გვიმტკიცებს აქ ქართველის ერის ცხოვრებას... ყველა სოფელი ჩილდირში ქართულ სახელწოდებით ყოფილა, მაგრამ, რადგან დიდ ხანს ეს ადგილები თათრის ხელში იყო და თათრებით დასახლებული, ზოგიერთი სოფლის სახელი თათრულად გადაუთარგმნიათ და დღემდე თათრული სახელი შერჩენია, როგორც მაგალითად: ქართველები ვეძახით ჩილდირის სოფ. „წითელივერანა“, თათრებს გადაუთარგმნიათ და უძახიან: „ყიზილ-ვერანა“; ქართველები ვეძახით: „სოფ. თეთრა-ციხე“, თათრები ეძახიან ამ სოფელს, „აღ-ყალა“ (ამ სოფელში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახევარ კუნძულზედ ჩილდირის ტბისა არის აოხრებული სოფელი (თუ ქალაქი) ორის ნანგრევის საყდრით. შეიძლება ციხეც ჰქონიყოს, მაგრამ დღეს იგი არა სჩანს. როგორც ამბობენ, ჩილდირის ტბაში ისეთი ადგილებია, რომ შიგ ციხე-საყდარი ბევრია, მაგრამ წყალი აქვს ზემოდგან დაფარულიო).

17-ვე ივნისს, ნაშუადღევს ორ საათზედ, სოფ. ჭალიდგან წამოსულები მოვედით სოფ. „ტაშ-ბაშში“ (ქვის-თავში) ოთხ საათზედ. ამ სოფელშიაც თარაქამები სცხოვრობენ. ეს სოფელი ტბაზედ რამდენისამე საჟენით დაშორებულია. ჩილდირის ტბას ამ სოფელ ქვეშ ფეხი აქვს, ე. ი. ტბიდგან გადადის მოზრდილი მდინარე და მიდის ყარსის მხარეს, სამხრეთისკენ. სადაც ტბიდგან წყალი მდინარედ გამოდის, სწორედ იმ ადგილას, რომელზედაც ყარსისკენ გზა მიდის, გაკეთებულია ძველის-ძვლიდგანვე ქვის ხიდი. ამ ხიდს თათრები აწერენ ოსმალოს, ე. ი. ამბობენ, რომ ოსმალოს მთავრობას გაუკეთებიაო, მაგრამ ეს სრული სიცრუე უნდა იყოს. ეს ხიდი უნდა ეკუთვნოდეს სწორედ იმ დროს, როდესაც ამ მხარეს უცხოვრიათ ქართველებს; ეს უფრო მტკიცდება იმ გარემოებიდგან, რომ ყოველივე ეკკლესიების კედლის ქვები და ქვები ამ ხიდისა ერთი და იმავე ქარხნისა უნდა იყოს და სიძველისა გამო ერთსა და იმავე დროს უნდა ეკუთვნოდენ. ეკკლესიებს და ამ ხიდს ზოგიერთნი აწერენ თამარის მეფობის დროს.

ჩილდირის ტბა დიდია; თითქმის ყველა პირ-იქითა ჩილდირის სოფლები ამ ტბის გარშემო მდებარეობს. ტბა ისე დიდია, რომ ზაფხულის დღეში ცხენიანი კაცი ძლივს შემოუვლის გარშემო. ტბის გარშემო—ზოგან მთა-გორა მოსდევს, ზოგან ვაკე ჭალები, ზოგან ჭილნარი-ჭაობიანი ადგილები და ზოგან ქვიშიანი ნიადაგი. თევზაობა ამ ტბაში ეხლა გახშირებულია. ტბა სახელმწიფოა გარეშემო მდებარე მთებით, ჭალებით, სოფლებით და ამათის სახნავ-სათესის მიწებით. ტბა იჯარით აღებული აქვს ვებერს სომეხს წლიწადში 500 მანეთად. ამ მოიჯარადრეებს გამართული აქვთ ერთი დიდი ნავი, ორი დიდი მოსასმელი ბადე, დაქირავებული ჰყავთ ათი-თორმეტი ბიჭი, რომლებიც ნავს ამუშავებენ ყოველ დღე და დიდძალ თევზსაც იჭერენ. ტბაში მოიპოვება თევზები: გოჯა, კალმახი, შამაია (ხრამული) და სხ. ტბაში ერთად ერთი პატარა კუნძულია, რომელზედაც, როგორც გვიამბეს, ნასახლ-კარევი და ნასაყდრალი ყოფილა. ტბის გარეშემო, როგორც ჩვენის თვალითაც ვნახეთ, ბევრი ათხრებული სოფელი და ნასაყდრალ-ნაკოშკარია...

ვ. კოპტონაშვილი

ლევს ცოლად, ნება უბოძა ოსმალეთის მპყრობელმა ევროპა დაიაროს და თან აახლა კავკასიისათვის კარგად ცნობილი მუხტარ ფაშა.

—

პრეზიდენტის კარნოს მკვლელის პროცესის გაზეთებში დაბეჭდვა აღკრძალულია. ჰფიქრობენ, რომ ეს განაჩენი მეკენჭეებს დიდად უკმაყოფილოდ შეჰქმნის ახლანდელის პარლამენტისას, რომელმაც იგი გამოსცაო.

### კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა
### (488—1811 წ.)

**ნიკოლაოზ** 1667, ან 1677 წ. მაღალაძე, ადამ ქადაგის ძე. მცირე ხნობით განაგებდა მცხეთის საკათალიკოზოს ანუ დომენტის იერუსალიმში ყოფნის დროს, ანუ მისი სიკვდილის შემდეგ (1675 წ. 22 ენკენისთვეს), კათალიკოზის ნიკოლაოზ ამილახვარის აღრჩევამდე. ესე ნიკოლოზი არის აღმშენებელი (თუ განმახლებელი) მშვენიერის წინარეხის ღვთის-მშობლის („მაღლაანთ") ტაძრისა გორის მაზრაში, კავთიხევსა და ქვათახევის მონასტრის შუა. აჰა თვით მხედრული წარწერა აღმოსავლეთის კედელზედ, მაღლა კამარას ქვეშე: „მე კათალიკოზმან ქართლისამან ნიკოლაოზ ქადაგ ადამის ძე მაღალაძემ აღვაშენე საყდარი ესე, ტაძარი ყოვლად წმიდისა. ადიდე სული დედისა ჩემისა ელენესი: შესანდობელად მამისა ჩემისა ადამისა და მოსახსენებლად. ქკს ტნიე (355+1312=1667 წ., ან 365+1312=1677 წ.) ამა საყდრის შენების დროს დაჰხოცვა ნიკოლაოზს ძმები გიორგი და ილია. ნიკოლაოზი ასაფლავია იქვე, საყდრის ეზოში და საფლავის ქვაზედ გამოსახულია ცხენზედ მჯდომარე.

**ნიკოლაოზ** 1676—1687; 1691—1696 წ.წ. აღზრდილი ქრისტეფორე კათალიკოსისა. „არამედ მომკვდარიყო კათალიკოზი დომენტი ჩქოე წ. აწ მეფემან (გიორგი XI) დასვა ძმა გივი ამილახორისა, ძე იოთამისა ნიკოლაოზ ქათალიკოზად". ქ-ცხ. II ნაწ. 56 გვ. გივი ამილახვარს ჰყვანდა ცოლად გიორგი მეფის დაჲ თამარი.

ნიკოლაოზი იყო ფრიად კეთილი და თავდადებული მამულისა და ქრისტეანობისათვის. ესე ნიკოლაოზი თავის სინოდით სწერს 1676 წ. 6 თებერვალს მოსკოვის მეფეს თეოდორე ალექსის ძეს გრამოტას—შემწეობა გაგვიწიე წინაშე სპარსეთის ყეენისაო; თან ჰსთხოვს ბატონიშვილის ნიკოლაოზის (ნაზარალი ხანი შემდეგში ანუ ირაკლის) დაბრუნებას, რომ არ გავთათრდეთო. ამ გრამოტაზედ აწერენ ხელს: ალავერდელი გრიგოლ, ბოდბელი მათე, რუსთველი, ნინოწმიდელი ნიკოლაოზ, ნეკრესელი, სამებელი. იხ. Переп. Груз. ц. съ рус. гос. 93 გვ. როგორც დავინახავთ, შემდეგში ნაზარალიხანმა დაამხო ნიკოლაოზი კათალიკოზობიდამ. ნიკოლაოზმა დიდი ამაგი დასდო ქართულს მწიგნობრობას: შეჰკრიბა გაფანტულნი ხელნაწერნი ერთად და შეადგინა დიდი ბიბლიოთეკა სვეტიცხოვლის ტაძარში. მოუყარა თავი საუკეთესო მხატვართ და წიგნთა გადამწერ კაცებს და აწერინებდა მხატვრობიან საეკკლესიო წიგნებს. ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ცალი წიგნი იწერებოდა ერთის მოკანანახეს ანაბარა. ამა წიგნთა გადამწერთა შორის შესანიშნავნი არიან—საბა და მიქელ. ანჩისხატის მხატვრობიანი მშვენიერი გულანი ორ დიდ წიგნად, რომლის წარწერა იხ. „ივერია" 1877 წ. № 44 ბოლოს, და ქისტაურში თ. კიაზო ერისთავის ლოცვანი მხატვრობიანივე, ორივე აღწერილნი 1681 წ. იხ. მწყემსი № 10, 1894 წ. სვეტიცხოვლის გალავანი მთლად ხელახლა აღაშენა თავის საყარაულო გოდოლ-ზღუდით, განაახლა თვით ტაძრის სამხრეები ჩრდილოეთით და სამხრეთით. 1687 წ. გაჰეფდა თუ არა ნაზარალი ხანი, შემოერტყა მცხეთას და ზარბაზნები დაუშინა*), გადააყენა ნიკოლაოზი და კათალიკოზობა მისცა თავის დედის ძმას იოანეს. 1688—1691 წ. შორის ნიკოლაოზი იმყოფებოდა რაჭაში ჩხეიძის ქაიხოსროს სახლში. კვლავ გამეფდა თუ არა გიორგი XI, მაშინვე ისევ ნიკოლაოზი ჰყო კათალიკოზად და 1696 წლამდე მწყსიდა საქართველოს ეკკლესიასა. ამ დროს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტი სერგი აგროვებდა შეწირულობას და ნიკოლაოზ კათალიკოზთან ერთად ჯვარის მონასტრისათვის გაისტუმრეს იერუსალიმში ყოველნივე სახმარნი ნივთნი ვერცხლისა, Поспате Досиеея. 21 გვ. ნიკოლაოზის თხოვნით გიორგი მეფემ და მისმა ძმამ ლევანმა მოიშორეს ჯვარის მონასტრის ვალი 94,000 პიასტრი, ანუ 4700 მანათი (პიასტრი ერთ შაურს უდრის), რაკი სომხები და ფრანგები აპირობდნენ მაგ ვალის მოშორებას და ჯვარის მონასტრის ხელში ჩაგდებასა.

ნიკოლაოზის რჩევით გიორგიმ დაიბარა რუსეთიდამ არჩილ მეფე—მტერს ერთად ვებრძოლოთო.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის" მე-144 №-ში დაბეჭდილია ვაქირიდგან მოწერილი კორესპონდენცია ბ-ნ ჩეჩვისა. იგი, სრულიად თუ არა, მომეტებულ ნაწილად მაინც სიმართლეს მოკლებულია. გთხოვთ უმორჩილესად თქვენის გაზეთის მახლობელს №-ში გამოაცხადოთ, რომ იმ კორესპონდენციის მომწერი მე არ გახლავართ.

ვაქირის სკოლის მასწ. იოსებ კაპანაძე**)

## განცხადებანი


### ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

**ფასი ერთი შაური**

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.


*) შემდეგში, 1695 წ., ერეკლემ ამ შეცოდების ნაცვლად განუახლა გუჯარი ძველ დროთა შეწირულებათა დამტკიცებით.

**) ვაცხადებთ, რომ ჩვენის გაზეთის მე-144 №-ში დაბეჭდილი კორესპონდენცია ბ-ნ იოსებ კაპანაძეს არ ეკუთვნის.

რედ.


### პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

მამულს ვარდანეში, 22 ვერსტის მანძილზე დაბა სოჩიდგან, შავის ზღვის ოლქში, გზა-ტკეცილს ახლო იჯარით იძლევა ერთის წლის ან მეტის ვადით, 80 დღიური ბაღი, რომელშიაც დასაკრებია ვაშლი, ჰანჭური და ორუნდუკი და ნიადაგი სახნავად.

პირობების შეტყობა შეიძლება ამ მამულის მმართველ ლ. ი. საკოვიჩთან. (1—6—1)



ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и К°
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობსაის" წყობში.

### დამზღვევი საზოგადოება
### „იაკორი"
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში."

### დაზღვევა ცეცხლისაგან.
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—31)




„ნევის კაპრიზები"

დუხებ—„ნევის კაპრიზი"
ოდეკოლონ—„ნევის კაპრიზი"
საპონი—„ნევის კაპრიზი"

„მიუსკ" დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ" საპ. დ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**" გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება. აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—51)


### „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою Тифлисъ, 20-го Іюля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.